



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



**მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის**

**ოქმი N11**

ქ. მარნეული

20.09.2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:  
 საკრებულოს წევრები: -

ამირან გიორგაძე, ტარიელ მამედოვი, რიჩარდ გიგანი, ბესიკ გელენიძე, ვასილ ხახულაშვილი, თეონა ფარჯიანი, ზურაბ ჭონიაშვილი, ადილ ალიევი, გივი გიორგაძე, ლაშა ქველამე, ვანო ბურნაძე, არსენ ახვერდიანი, ლევონ აკოპიანი, მათა გელაშვილი, ადილ გურბანოვი, ომარ ირიშოვი, ანარ პირიევი, მახარატ ალახვერდიევი, მახირ ბაირამოვი, ნაზილა მუსტაფაევა, გიუნაშ რიზაგულიევა, აიაზ ხუდიევი, თამარ აბასოვა, რახმან მუსაევი, სოსო ინაძე, რამალ ახმედოვი, მეხტი ასკეროვი, მარინა პეტროვა.

არ ესწრებოდა:

როგოზან ისკანდაროვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, ნიკოლოზ გოგოჭური, ნარგიზა ალიევა, დავით ქიმაძე.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი კენან ომაროვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე როინი დეკანოიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მათა ნავერიანი, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა შუბითიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნინო დეკანოიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების უფროსი ია ესეზუა, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტები, ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების და განყოფილებების უფროსები.

ასევე ესწრებოდნენ:

მარნეული TV-ს წარმომადგენლები.

## განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 დეკემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და მერიის პროფესიული საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის №08 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

3. „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შეთანხმების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

4. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

5. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N84 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

6. სპორტსმენების დაჯილდოების შესახებ.

7. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 07 სექტემბრის N5/50425 წერილის განხილვის შესახებ.

8. „მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 24 ოქტომბრის N4425-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 ოქტომბრის N90 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

9. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 16 სექტემბრის N32-322225932 წერილის განხილვის შესახებ.

10. მარნეულის მუნიციპალიტეტის შაუმიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ შაუმიანის ქუჩების სახელდების შესახებ.

11. სოციალური საკითხები.

## განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მაია ნავერიანმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 16 სექტემბრის N32-322225933 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (ნაციონალურმა მოძრაობამ მონაწილეობა არ მიიღო კენჭისყრაში. მიღებულია დადგენილება N17. 20.09.2022 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მამუკა შუბითიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 19 სექტემბრის N32-322226295 წერილით შემოსული „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და მერიის პროფესიული საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის №08 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N18. 20.09.2022 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მამუკა შუბითიძემ საკრებულოს წევრებს შესათანხმებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 13 სექტემბრის N32-3222256346 წერილით შემოსული „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შეთანხმების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №12 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N42. 20.09.2022 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თეონა ფარჯიანმა საკრებულოს წევრებს შესათანხმებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N81 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N39. 20.09.2022 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თეონა ფარჯიანმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N84 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N40. 20.09.2022 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თეონა ფარჯიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 16 სექტემბრის N32-322225934 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსის 2022 წლის 14 სექტემბრის N02-3222257113 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა მხარდაჭერა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს ერთჯერადი ფულადი ჯილდოს გადაცემა, მარნეულის მუნიციპალიტეტის ვეტერანი სპორტსმენების სანდრო იაკობაშვილის და ზაზა დავაძის წახალისების მიზნით, თითოეულს 15000-15000 ლარით, რომლებმაც 2022 წლის 06-10 სექტემბერს პოლონეთის ქალაქ კრაკოვში გამართული ვეტერანი „ძიუ-დო“-ისტების მსოფლიო ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა, მოიპოვეს ოქროს მედლები და გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N41. 20.09.2022 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ გივი გიორგაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 15 სექტემბრის N32-3222258163 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის 2022 წლის 14 სექტემბრის N07-322225759 მოხსენებითი ბარათი და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 07 სექტემბრის N5/50425 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს, მარნეულის მუნიციპალიტეტის ოფრეთის ადინისტრაციული ერთეულის სოფელ ოფრეთში მდებარე 135 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზედ განთავსებული შენობა - ნაგებობის (საკადასტრო კოდი ნომერი: 83.15.01.466) სახელმწიფოზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადასაცემად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N43. 20.09.2022 წ).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ გივი გიორგაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 24 აგვისტოს N32-3222236120 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის 2022 წლის 24 აგვისტოს N07-32222369 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა თანხმობა, რათა შევიდეს ცვლილება „მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 24 ოქტომბრის N4425-03 მოხსენებითი ბარათის

განხილვის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 ოქტომბრის N90 განკარგულებაში და განკარგულების პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დამტკიცდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „რუსთაველის ქუჩა N23“-ის ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N23-ში მდებარე კორპუსზე მისაკუთვნიებული მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები ი.მ. „დომენტი ჯიჯელავა“-ს მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზზე მითითებული ფართისა და კოორდინატების შესაბამისად (მიწის ნაკვეთის ფართი - 2045 კვ.მ. განაშენიანების ფართი: შენობა N01 - 659 კვ.მ; N02 - 15 კვ.მ; N03 - 15 კვ.მ; N04 - 18 კვ.მ; N05 - 18 კვ.მ; N06 - 16 კვ.მ; N07 - 17 კვ.მ; N08 - 16 კვ.მ; N09 - 24 კვ.მ; N10 - 19 კვ.მ; N11 - 17კვ.მ.“

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N44. 20.09.2022 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ გივი გიორგაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 16 სექტემბრის N32-322225932 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის 2022 წლის 11 სექტემბრის N07-32222541 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს კენან ომაროვს, მარნეულის მუნიციპალიტეტში განათლების სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოს შ.პ.ს. „ეტალონი-განათლებისგან“ 37 200 ლარად შესყიდული 1 500 ცალი საოჯახო წიგნი-რვეული „პირველკლასელთა აკადემია“-ს გადაცემა მარნეულის მუნიციპალიტეტში მდებარე 53 საჯარო სკოლისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N45. 20.09.2022 წ).

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ გივი გიორგაძემ საკრებულოს წევრებს მოსაწონებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 16 სექტემბრის N32-3222259107 წერილი მარნეულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე შაუმიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელი შაუმიანის ქუჩების დამისამართების შესახებ, რომელიც საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 16-ე მუხლის მეორე ნაწილის „პ“ ქვეპუნქტისა და „გეოგრაფიული ობიექტების შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე საქართველოს კანონის თავისუფლების ქარტიის და საქართველოს მთავრობის „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების შესაბამისად გადაეგზავნება გეოგრაფიული ობიექტების სახელდების სამთავრობო კომისიას.

წარმოდგენილი პროექტი მოწონებული იქნა საკრებულოს წევრების ხმათა უმრავლესობით.

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭონიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების განცხადებები.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი და ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება საოქმო ამონაწერი გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მეთერთმეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:  
ამირან გიორგაძე